

ՆԱԹՈՒՆԱԳՐԱԿԱՆ ԾՐԱԹՅՈՒՆ

НАУКОВИ ПРАЦІ

SCIENTIFIC PROCEEDINGS

XVIII

2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების
ს/ს ინსტიტუტი
პროფესორ ოთარ ბაქანიძის სახელობის
უკრაინისტიკის ცენტრი

ტარას შევჩენკოს სახელობის
კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი
ფილოლოგიის ინსტიტუტი
უკრაინული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურის
თეორიისა და ლიტერატურული შემოქმედების კათედრა

სამეცნიერო შრომები

XVIII

2021



უნივერსიტეტის
ბაზმაცემლობა

**Тбіліський державний університет
імені Іване Джавахішвілі
Факультет гуманітарних наук
Н/Н інститут перекладу та міжлітературних взаємин
Центр україністики ім. професора Отара Баканідзе**

**Київський національний університет імені Тараса Шевченка
Інститут філології
Кафедра історії української літератури,
теорії літератури та літературної творчості**

Наукові праці

XVIII

2021

**Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Translation and Literary Relations
Centre of Ukrainian Studies**

**Taras Shevchenko National University of Kyiv
Institute of Philology
Department of the History of Ukrainian Literature,
Literary Theory and Literary Creation**

Scientific Proceedings

XVIII

2021

მთავარი რედაქტორი:

ნანა გაფრინდაშვილი

Editor-in-Chief:

Nana Gaprindashvili

Головний редактор:

Нана Гаприндашвили

სარედაქციო კოლეგია:

ლიუდმილა ჰრიციკი (კიევი, უკრაინა)

ეკატერინე ნავროზაშვილი (თბილისი, საქართველო)

ნინო წერეთელი (თბილისი, საქართველო)

გრიგორი სემენიუკი (კიევი, უკრაინა)

ანდრეი რიჟკოვი (ტეპიკი, მექსიკა)

ნატალია შაიტოში (სეგედი, უნგრეთი)

ნინო ნასყიდაშვილი (თბილისი, საქართველო)

სოფიო ჩხატარაშვილი (თბილისი, საქართველო)

Editorial Board:

Liudmila Hrytsyk (Kiev, Ukraine)

Ekaterine Navrozashvili

(Tbilisi, Sakartvelo)

Nino Tsereteli (Tbilisi, Sakartvelo)

Grigori Semeniuk (Kiev, Ukraine)

Andrii Ryzhkov (Tepic, Mexico)

Natalia Shaytosh (Szeged, Hungary)

Nino Naskidashvili

(Tbilisi, Sakartvelo)

Sophio Chkhatarashvili

(Tbilisi, Sakartvelo)

Редакційна колегія:

Людмила Грицик (Київ, Україна)

Екатеріне Наврозашвілі

(Тбілісі, Сакартველო)

Ніно Церетелі (Тбілісі, Сакарტველო)

Григорій Семенюк (Київ, Україна)

Андрій Рижков (Тепік, Мексика)

Наталія Шайтош (Сегед, Угорщина)

Ніно Наскідашвілі

(Тбілісі, Сакарტველო)

Софіо Чхатарашвілі

(Тбілісі, Сакарტველო)

აღმასრულებელი რედაქტორი: ივანე მჭედელაძე

Executive Editor: Ivane Mchedeladze

Виконавчий редактор: Іване Мchedeladze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ISSN 1512-1925

სარჩევი Contents

ლიტერატურულ ურთიერთობათა პარადიგმები Paradigms of Literary Relations

- ეკა ვარდოშვილი** 9
*ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხისათვის
XIX საუკუნის მწერლობაში*
- Eka Vardoshvili**
For issues on literary relations in the literature of XIX century
- დარეჯან მენაბდე** 18
*„ვეფხისტყაოსნის“ ნაწარმოებისეული თარგმანის
გამოქვეყნების გამო*
- Darejan Menabde**
*Due to the publication of the Navrotsky translation
of The Knight in the Panther's Skin*
- Олександр Музичко** 31
*Популяризація грузинської літератури в Одесі напри
кінці XIX – на початку XX ст.*
- ტექსტი და კონტექსტი**
Text and Context
- Tereza Chlaňová** 39
*Yuriy Vynnychuk's Novel Tango of Death
as a Trauma-healing Concept*
- მამუკა ჭანტურია** 51
*ლიტერატურული ტრიბუტიქი ნიკო ლორთქიფანიძის
თემებზე*

ინტერდისციპლინური კვლევები
Interdisciplinary Studies

**ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე†,
ქეთევან გაბუნია†** 69

*სომატური კომპონენტები არამონათესავე ენათა
ფრაზეოლოგიურ ერთეულებში
/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/*

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze†, Ketevan Gabunia†
*Somatic Components in the Phraseological Units
of Non-Typological Languages
/On the material of French, English and Georgian languages/*

Натиа Амиреджиби 78

*Сакральный архетип женщины в художественном нарративе
Востока и Запада: рецепции канонического образа Богородицы*

Natia Amirejibi
*The sacred archetype of a woman in the artistic narrative of the
East and West: reception of the canonical image of the Virgin*

ნათია ნემსაძე 111

ცნება „ინტელიგენცია“ – სემანტიკა, პრაგმატიკა

Natia Nemsadze
The Concept “Intelligentsia” – Semantics, Pragmatics

Maguli Ghambashidze 126

*Constructions expressing deontic modal semantics
in old Georgian language*

ლიტერატურულ ურთიერთობათა პარადიგმები

Paradigms of Literary Relations

ეკა ვარდოშვილი

ლიტერატურულ ურთიერთობათა
საკითხისათვის XIX საუკუნის მწერლობაში

Eka Vardoshvili

**For the Issue of Literary Relations in the literature
of the 20th century**

From the beginning of the 19th century, the interest of Georgian writers and public figures in Russian and European cultures starts to grow. Nineteenth century literature becomes enriched with translated works, which in turn promotes its involvement into the dialogue of cultures.

In the works of Al. Chavchavadze there are translations of poetic creations of Voltaire, Rousseau, Corneille, Racine, Hugo, and La Fontaine.

The influence of French literature on the poetry of Al. Chavchavadze is deep enough.

Literary works of Georgian Romanticists contain translations and imitations of Russian literary works.

Ilia Chavchavadze translated and shared the works of European and Russian writers with readers in the newspaper “Iveria”.

In December 1883, in the year of Turgenev’s death, a translation of the “Poems in Prose” by I. Turgenev into Georgian performed by I. Chavchavadze was printed in the journal “Iveria”, #12.

A literary translation of the story “A Homeless Man in New York” by Ilia Chavchavadze was first published in 1878 in the newspaper “Iveria”. The story is of psychological character and is translated from Russian.

Those who remember Ilia’s story “On the Gallows” would undoubtedly notice the resemblance between these two stories. In my view, Ilia wrote his story “On the Gallows” under the influence of “A Homeless Man in New York”. The Russian translation of “A Homeless Man in

New York” (“Нью-Йоркский Бродяга”) was published in the magazine “Domestic Notes” (“Отечественные записки”) in 1877.

It is noteworthy that Iliа Chavchavadze regarded the translation as a part of development of the national literature.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ინტერესი რუსული და ევროპული კულტურისადმი იზრდება. ქართული ლიტერატურა მდიდრდება თარგმნილი ძეგლებით, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს მის ჩართვას კულტურათა დიალოგში.

აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ვხვდებით ვოლტერს, რუსოს, კორნელის, რასინის, ჰიუგოს, ლაფონტენის, პუშკინის პოეტურ ქმნილებათა თარგმანებს.

საკმაოდ დიდია ფრანგული ლიტერატურის გავლენა აღ. ჭავჭავაძის პოეზიაზე.

თარგმანები და მიბაძვები გრიგოლ ორბელიანისა და სხვა კლასიკოსთა შემოქმედებაშიც იჩენს თავს.

ილია ჭავჭავაძე თარგმნიდა და „ივერიის“ საშუალებით მკითხველს აცნობდა რუს და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებს.

1886 წელს გამოქვეყნებულ წერილში „გოგოლის „რევიზორის“ საიუბილეოდ“ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილნი არიან უკეთესთა რუსთაგან, მათი წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი“ (ჭავჭავაძე, 1991:230).

1883 წლის დეკემბერში, ტურგენევის გარდაცვალების წელს, ჟურნალ „ივერიაში“ №12, იბეჭდება ი. ჭავჭავაძის მიერ შესრულებული ივანე ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ ქართული თარგმანი. „ლექსნი პროზითას“ ქართულ თარგმანში შესულია

შვიდი ნაწარმოები: „მუსაიფი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძალი“, „მთხოვარა“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“ (პუშკინი), „სულელი“, „ბელურა“. შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ამ თარგმანით ილია ჭავჭავაძეს სურდა საზოგადოებისათვის არა მხოლოდ გაეცნო ივანე ტურგენევის უკანასკელი თხზულება, არამედ, ამით მან პატივი მიაგო მწერლის ხსოვნასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ი. ტურგენევის პირველ მთარგმნელად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სწორედ ი. ჭავჭავაძე გვევლინება. „ლექსნი პროზითა“ იწერებოდა 1877-1882 წლებში. 1882 წლის დეკემბერში აღნიშნული ნაწარმოები გამოქვეყნდა პეტერბურგში, ჟურნალ «Вестник Европы» №12 ფურცლებზე, როგორც ჩანს, აღნიშნული პუბლიკაციიდან ილიას შეურჩევია ის შვიდი ნაწარმოები, რომლებიც, გარკვეულწილად, ეხმიანებოდა მის შემოქმედებით პრინციპებს.

ი. ტურგენევის „ლექსნი პროზითა“ პატარ-პატარა მოთხრობებისგან შედგება. ისინი არ ასახავენ მხოლოდ რუსულ ყოფას და უფრო მეტად ზოგადსაკაცობრიო ტენდენციების შემცველნი არიან. ლირიკული გმირი თავად ავტორია და ზოგი მათგანი ავტობიოგრაფიულ ელემენტებსაც შეიცავს. მათ შორის არსებობს შინაგანი ღრმა კავშირი, როგორც ტურგენევის „მონადირის ჩანაწერებში“.

პირველი მოთხრობა, რომელიც ი. ჭავჭავაძემ თარგმნა „მუსაიფია“. აქ ჩანს სამყაროს ერთიანობისა და ბუნების მარადიულობის საკითხი. მოქმედება ალპებში ხდება, სადაც ორი მთა იანგფრაუ და ფინსტერნარგორნი ესაზღვრებიან ერთმანეთს. ბუნება აქ გასულიერებულია. საზოგადოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ბუნების თავისთავადობის საკითხი ჟან-ჟაკ რუსომ დაამკვიდრა. მისმა „ჟიულიმ ანუ ახალმა ელოიზამ“ გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის ცნობიერებაში. ნაწარმოების მთავარი გმირები ჟიული და სენ-პრე სწორედ ალპების ძირში ცხოვრობენ და ისინი სასიყვარულო ბარათებს

წერენ ერთმანეთს. ტურგენევის „მუსაიფშიც“ მოქმედება ალპებში ხდება. აქ ნაჩვენებია, რომ, ბუნებასთან შედარებით, ადამიანი პატარა არსებაა, რომელიც მარადიულ ბუნებაზეა დამოკიდებული. მოთხრობა ფილოსოფიური ხასიათისაა.

„ბებერ დედაკაცში“ ადამიანის ბედისწერა ბებერი, უსინათლო დედაკაცის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც ვერსად გაექცევი. მოთხრობა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თემის ამსახველ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება.

ცხოვრების კანონზომიერებისა და წუთისოფლის წარმავლობის საკითხია დასმული, ასევე, შარლ ბოდლერის მინიატურაში „დედაბრის ვარამი“, სადაც სიკვდილის მოახლოებისა და მართობის განცდა მოხუცი ქალის სახეს უკავშირდება.

ყველაზე ხშირად ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ ადარებენ შარლ ბოდლერის თხზულებას „ლექსები პროზად“, სადაც ჩანს მწერლის პოეტური მიმართება არსებულ სინამდვილესთან. მართლაც, ორივე თხზულება გამოირჩევა ლირიზმითა და ემოციურობით, სადაც მწერალთა სუბიექტური განცდები პროზაულადაა წარმოდგენილი. ისინი პოეტური პროზის საუკეთესო ნიმუშებია.

მოთხრობა „ძალღი“ სამყაროს ერთიანობაზე მიგვანიშნებს. ი. ტურგენევი წერს „არა! აქ პირუტყვი და ადამიანი კი არ შეკეცურებენ ერთმანეთს თვალეებში... ორი წყვილი ერთნაირი თვალი ერთმანეთს შესცქერიან.

„ეგ ორი წყვილი თვალი პირუტყვისა და ადამიანისა – კრძალვით აწვდიან ერთმანეთს ერთსადღაიმავე სიცოცხლესა“ (ჭავჭავაძე, 1988:443).

„მთხროვარაში“ ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხია დასმული, რომ მთავარია მოკვდავის მიმართ ადამიანური სიტბოსა და სიყვარულის გამოვლენა. ადამიანებს სჭირდებათ ერთმანეთი და ისინი არ უნდა გაუცხოვდნენ, მიუხედავად მათი მდგომარეობისა. აღნიშნული პრობლემაა დასმული ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში „გლახის ნამბობი“, „სარჩობელაზედ“.

„სულელში“ ნაჩვენებია, თუ როგორ აღწევენ ადამიანები ნარმატებას დაუმსახურებლად, სხვისი დაცინვითა და გაკრიტიკებით. უღირსად იმკვიდრებენ თავს საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ეს საკითხი ი. ჭავჭავაძესაც აწუხებდა, ამით მას სურდა საზოგადოების მანკიერი მხარეების გამოვლენა.

„ბელურაში“ დედაშვილობის გრძნობის, სიყვარულის ძალის გამოხატულებას ვხვდებით. ავტორს სურს დაანახოს მკითხველს, რა არის სიცოცხლე, რომ სიკვდილი მარად თან სდევს მას. თავგანწირვა და შიშის დაძლევა მხოლოდ სიყვარულით ხდება. სიყვარული ამოძრავებს სამყაროს. ტურგენევი ამგვარად ამთავრებს მოთხრობას: „სიყვარული, ვიფიქრე მე: სიკვდილსაც და სიკვდილის შიშსაც სძლეეს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლეობს და მოძრაობს ცხოვრება“ (ჭავჭავაძე, 1998, 449).

გ. შარაძე წერილში „ილია ჭავჭავაძე და ივანე ტურგენევი“ ერთ-ერთი მინიატურის „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“ შესახებ წერს: „სათაურად ი. ტურგენევს გამოუყენებია ალ. პუშკინის ციტატა ლექსისა „პოეტს“. როგორც ტურგენევის მცოდნენი მიუთითებენ, აღნიშნული მინიატურა გულნატკენ მწერალს დაანერინა რუსეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის წრეებში თავისი უკანასკნელი რომანის „ყამირის“ (1877 წ.) მკაცრად გაკრიტიკებამ“ (შარაძე, 1986:75).

როგორც ვნახეთ, ტურგენევის „ლექსნი პროზითა“ გამოქვეყნებიდან ერთ წელიწადში ითარგმნა და მან მაშინვე მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება.

შეგვიძლია ვთქვათ, „თუ „ლექსნი პროზითა“ რუსულ მწერლობაში პირველად ივანე ტურგენევმა შემოიტანა, მათი პირველი ქართული თარგმანით ილია ჭავჭავაძე გვევლინება ამ ჟანრის დამამკვიდრებლად ქართულ ლიტერატურაში“ (შარაძე, 1986:67).

აქვე გვინდა შევჩერდეთ ილია ჭავჭავაძის მიერ შერსულელებულ კიდევ ერთ თარგმანზე.

ილია ჭავჭავაძის მიერ 1878 წელს შესრულებული მხატვრული თარგმანი მოთხრობისა „უბინაო კაცი ნუიორკში“ იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. „მოთხრობა ფსიქოლოგიური ხასიათისაა და რუსულიდანაა ნათარგმნი. ნაწარმოებში ორი მთავარი მოქმედი გმირია, ფილიპე ტეტლოუ, ოცდაათი წლის კაცი, რომელიც მეტ-ნაკლებად კმაყოფილია თავისი ცხოვრებით და ფილიპე ერნი, მათხოვრის ტანისამოსით შემოსილი ბოგანო, რომელსაც ცხოვრებამ ყველაფერი წაართვა და ახლა ღამეს ქუჩაში ათევს. ფილიპე ტეტლოუ და ფილიპე ერნი ერთმანეთს შემთხვევით შეხვდებიან და ტეტლოუ გადაწყვეტს იზრუნოს ერნზე, თუმცა, ეს არც ისე იოლი ამოჩნდება. გარკვეული დროის განმავლობაში ტეტლოუს ყოფნის შინაგანი ძალა და კეთილშობილება იზრუნოს ცხოვრებისა და საზოგადოებისაგან გარიყულ ერნზე, მაგრამ შემდეგ ისიც განუდგება მას. საბოლოოდ, როდესაც გარშემომყოფთ გაუჩნდებათ სურვილი დახმარების ხელი გაუწოდონ ერნს, ტეტლოუ ველარსად პოულობს უბინაო და უთვისტომო ადამიანს. ფილიპე ერნის აჩრდილი მარად თან სდევს ფილიპე ტეტლოუს, როგორც გამკითხავი და მხილებელი მოვალეობის აუსრულებლობისა. ილიას, აღნიშნული ნაწარმოებით, ქართველი საზოგადოებისათვის სურდა გაეცნო ამერიკელი ხალხი. ვარაუდობენ იმასაც, რომ ამ მოთხრობამ ილია ჭავჭავაძეს შეიძლება თავისი „გლახის ნაამბობიც“ კი გაახსენა“ (Vardoshvili, 2016:27).

მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ როგორი დაუნდობელია ცხოვრება. ხშირად ქალაქი, სადაც დაიბადე და გაიზარდე, უცხო ხდება შენთვის. საზოგადოება კი სათანადო ყურადღებას არ იჩენს ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანების მიმართ. აქ ფილიპე ერნის ცხოვრების მაგალითზეა მოთხრობილი ნიუ-იორკელთა ყოფა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

ჩვენი აზრით, ვინც იცნობს ილიას მოთხრობას „სარჩობე-ლაზედ“ უდავოდ შენიშნავს მსგავსებას ილიასეულ თარგმანთან.

ფიქრობთ, ილიამ მოთხრობის „უბინაო კაცი ნუიორკში“ გავლენით დაწერა თავისი მოთხრობა „სარჩობელაზედ“. რუსული თარგმანი მოთხრობისა «Нью-иорский бродяга» დაიბეჭდა 1877 წელს ჟურნალში «Отечественные записки». მოთხრობის ავტორს მთელი სიცხადით აქვს აღწერილი ამერიკის სოციალურ-პოლიტიკური წყობა, ამერიკელი ხალხის ყოფა-ცხოვრება. მოთხრობა ფსიქოლოგიური ხასიათისაა. უდავოა, რომ ილიაზე ამ ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობამ, სადაც დასმულია ზოგადსაკაცობრიო გლობალური პრობლემები, დიდი გავლენა მოახდინა. სხვაგვარად იგი მას არ თარგმნიდა. 1879 წელს ილია ჭავჭავაძემ დაწერა და გამოაქვეყნა თავისი მოთხრობა „სარჩობელაზედ“.

„აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებებში ვხვდებით სიუჟეტურ თანხვედრას. ფილიპე ერნის ცხოვრება ძალიან ჰგავს ილიას მოთხრობის მთავარი გმირების ბეჟანისა და მისი ძმის თავგადასავალს. ნაწარმოების ორივე გმირის ცხოვრება ერთგვარად მიედინება. თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ ისინი კარგავენ ყველაფერს და უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან ქვეყანაზე, მათი განმკითხავი კი არავინაა.

ორივე ნაწარმოებში დასმულია საკითხი საზოგადოების გულგრილობისა, როდესაც ადამიანებს არ შესწევთ შინაგანი ძალა და კეთილშობილება სხვისი თანაგრძნობის. კარგავენ სხვისი პრობლემების გათავისების უნარს და ფიქრობენ, რომ ის, რაც მათ გარშემო ხდება მათი სატკივარი არ არის. ეს არის გლობალური ხასიათის პრობლემა და არა ვინრო პიროვნული ან ეროვნული“ (ვარდოშვილი, 2018: 90-91).

ორივე ნაწარმოები სრულდება ლოგიკური დასკვნის გარეშე. ავტორები დიდ საფიქრალს უტოვებენ თავიანთ მკითხველს.

და როდესაც ილიას მოთხრობის დასასრულს მოხუცი პეტრე მიიღებს ერთ-ერთი ძმის წერილს, მეორის დალუპვის თაობაზე იგი

შეძრწუნებულია, თუ რატომ ადანაშაულებენ მას. „– მე რა შუაში ვარო!“ – დაიძახა კვენსით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახდებდა“ (ჭავჭავაძე, 1988: 239).

მოთხრობის დასასრულს, ილია სვამს კითხვას საზოგადოების წინაშე: „მართლად ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს“ (ჭავჭავაძე, 1988: 239). მან ხომ დახმარების ხელი გაუნოდა ძმებს და პასუხს საზოგადოებისაგანვე მოელის. რატომ სდევს პეტრეს მარად დაღუპული ძმის აჩრდილი?

რა შუაშია ფილიპე ტეტლოუ, რატომ სდევს მას მარად ფილიპე ერნის აჩრდილი „დახ, ყოველთვის მოეჩვენებოდა იგი, როგორც გამკითხავი და მხილებელი მოვალეობის აუსრულებლობისა“ (ჭავჭავაძე, 1988: 107). ასე მთავრდება ამერიკული მოთხრობაც.

როგორი უნდა იყოს ადამიანის და საზოგადოების ურთიერთობა სვამენ კითხვას ნაწარმოებთა ავტორები და ამ კითხვას თავად საზოგადოებამ უნდა გასცეს პასუხი.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე თარგმანს ეროვნული ლიტერატურის განვითარების ნაწილად მიიჩნევდა. იგი თვლიდა, რომ ლიტერატურა არ უნდა იყოს კარჩაკეტილი როგორც მწერლის მიერ დასმულ საკითხთა მნიშვნელობით, ასევე მის მიერ შექმნილი ზოგადსაკაცობრიო ტიპებით.

საზოგადოდ, ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი ამოცანაა გათვალისწინება პარალელური მოტივებისა. ამით გავარკვევთ ნაციონალური მწერლობის ზოგიერთ წყაროსაც.

ლიტერატურა:

ვარდოშვილი, ე. (2018). ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა, თბილისი: „უნივერსალი“.

Vardoshvili, E. (2016). The Human and the Society in the Prose of the 19th Century, PHILOLOGY, 6, 27-29 Volgograd: «Scientific Survey».

ჭავჭავაძე, ი. (1991). თხზულებათა სრული კრებული ოც
ტომად, V. თბილისი: „მეცნიერება“.

ჭავჭავაძე, ი. (1988). თხზულებათა სრული კრებული ოც
ტომად, III. თბილისი: „მეცნიერება“.

ჭავჭავაძე, ი. (1988). თხზულებათა სრული კრებული ოც
ტომად, II. თბილისი: „მეცნიერება“.

შარაძე, გ. (1986). პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე, თბი-
ლისი: „მეცნიერება“.

დარეჯან მენაბდე

„ვეფხისტყაოსნის“ ნავროცკისეული
თარგმანის გამოქვეყნების გამო

Darejan Menabde

**Towards the Publication of Navrotsky’s Translation
of *The Knight in the Panther’s Skin*.**

The article discusses the book “Who Seeks not a Friend...” published by Professor O. Bakanidze at TSU publishing house in 2017. The book examines Mykola Gulak’s “Rustvelological Researches” and tells the story of the first Ukrainian translation of “The Knight in the Panther’s Skin” by Oleksandr Navrotsky. Photocopies of the manuscript of Navrotsky’s translation are included in the book as an appendix, which will be published for the first time and will allow Georgian and Ukrainian scholars to study and evaluate this translation in the future.

ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“. პოემის მიკოლა ბაჟანისეული უკრაინული თარგმანი პირველად 1937 წელს გამოიცა, რამაც უკრაინულ მკითხველს საშუალება მისცა, ახლოს გაეცნო პოემაცა და მისი ავტორიც. მაგრამ მაშინ, სავარაუდოდ, არცთუ ბევრისთვის იყო ცნობილი, რომ უკრაინული რუსთველოლოგია გაცილებით ადრე, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს და რომ პირველი მცდელობა პოემის უკრაინულ ენაზე თარგმნისა ამავე პერიოდს მიეკუთვნება. უკრაინული რუსთველოლოგიის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ნათლად იკვეთება ორი სახელი – მიკოლა გულაკი და ოლექსანდრ ნავროცკი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ საქმეს.

2017 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა პროფ. ოთარ ბაქანიძის წიგნი „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“, რომელშიც განხილულია მიკოლა გულაკის რუსთველოლოგიური ძიებანი და მოთხრობილია ოლექსანდრ ნავროცკის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უკრაინული თარგმანის შესახებ (ბაქანიძე 2017). წიგნს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მასში გამოქვეყნებული ო. ნავროცკისეული თარგმანის (პროლოგი და პირველი ოთხი თავი) ავტოგრაფული ხელნაწერის ფოტოკოპირები (ბაქანიძე, 2017: 297-374).

წიგნის სახელწოდებად გამოტანილი „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“ მკითხველს თავიდანვე მიანიშნებს პუბლიკაციის რაობაზე: წიგნი ორენოვანია, ტექსტი წარმოდგენილია ქართულ და უკრაინულ ენებზე. ეს კი ქართველ და უკრაინელ მკვლევრებს მომავალში საშუალებას მისცემს, დაიწყონ ნავროცკისეული თარგმანის შესწავლა და მის ღირსება-ნაკლოვანებათა გამოვლენა (მათ შორის, მიმართება მ. ბაჟანისეულ თარგმანთან).

უკრაინაში „ვეფხისტყაოსანს“, ძირითადად, მიკოლა ბაჟანის თარგმანით იცნობენ. ამ თარგმანმა ძალიან დიდი როლი შეასრულა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კავშირების, ზოგადად, ორი ერის ურთიერთობისა და დაახლოების საქმეში.

ორიოდე სიტყვით „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანების შესახებ...

მ. ბაჟანის თარგმანი პირველად „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის საიუბილეოდ 1937 წელს გამოიცა კიევში (თ. აბაკელიას ილუსტრაციებით – ბაჟანი 1937), შემდეგ, 1940 წელს, გამეორდა (ს. იოფინას ილუსტრაციით – ბაჟანი 1940), ამას მოჰყვა ორი მომდევნო – 1950 და 1957 წლებისა (ბაჟანი 1950; ბაჟანი 1957 – ეს უკანასკნელი ირ. თოიძის ილუსტრაციებით). რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეზე, 1966 წელს, მ. ბაჟანის თარგმანი კიევში

კიდევ ერთხელ გამოიცა, ამჯერად – უკრაინელი მხატვრის, გ. გავრილენკოს ილუსტრაციებით (ბაჟანი 1966), ხოლო 1974 წელს იგი შევიდა მ. ბაჟანის თხზულებათა ოთხტომეულის მეორე ტომში (ბაჟანი 1974). 1983 წელს კიევში განმეორებით დაიბეჭდა 1937 წლის გამოცემა (თ. აბაკელიას ილუსტრაციებით – ბაჟანი 1983).

რასაკვირველია, ამ გამოცემებმა კიდევ უფრო გაზარდა უკრაინაში ინტერესი, ზოგადად, ქართული ლიტერატურისა და განსაკუთრებით – „ვეფხისტყაოსნისადმი“. 1991 წელს კიევში უკრაინულ ენაზე დაიბეჭდა გრიცკო ხალიმონენკოს მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი (ხალიმონენკო 1991).

რაც შეეხება მომდევნო გამოცემებს...

თუ როგორი წარმატებით გრძელდება ქართულ-უკრაინული ლიტერატურული დიალოგი ჩვენს დროში, ეს კარგად ჩანს იმ გამოცემების გაცნობით, რომლებიც XXI საუკუნეში გამოიცა. ბოლო ოცწლეულში „ვეფხისტყაოსანი“ უკრაინულ ენაზე რამდენჯერმე გამოიცა: 2004 წელს მ. ბაჟანის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული თარგმანი რ. ჩილაჩავას რედაქციით, წინათქმითა და ბოლოსიტყვაობით დაიბეჭდა კიევში (გაფორმებულია ს. ქობულაძის ილუსტრაციებით – ბაჟანი 2004^ა); იმავე 2004 წელს სერიით „Роман-газета“ გამოქვეყნდა მ. ბაჟანის თარგმანი (თ. აბაკელიას ილუსტრაციებით) ტერნოპოლში (ბაჟანი 2004^ბ); ხოლო 2009 წელს – რიგაში (ს. ქობულაძის ილუსტრაციებით – ბაჟანი 2009).

განსაკუთრებით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანის ბოლოდროინდელი (2012-2013 წწ.) გამოცემები. აღნიშნული წიგნები მიეძღვნა პოემის ე. წ. ვახტანგისეული (1712 წლის) გამოცემიდან 300 წლისთავს. ორივე მათგანი დაიბეჭდა კიევში (ს. ქობულაძის ილუსტრაციებით – ბაჟანი 2012; ბაჟანი 2013). ეს გამოცემები ორენოვანია – გამომცემლის, იგორ შპაკის, წინათქმას, მ. ელბაქიდის ვრცელ წინასიტყვაობას, მ. ბაჟანის

სტატიას „უკვდავი პოემა“ მოსდევს პოემის პარალელური ტექსტები უკრაინულ და ქართულ ენებზე.

ამ მცირე ექსკურსითაც კარგად ჩანს ის ფართო ინტერესი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის მიმართ, რაც უკრაინაში არსებობს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელობა ოლექსანდრ ნავროცკის თარგმანისა, რომლითაც იწყება პოემის უკრაინულ ენაზე თარგმნის ისტორია; ისტორია, რომელიც დაიწყო XIX საუკუნის 80-იან წლებში და დღემდე გრძელდება.

წიგნის „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“ წინათქმაში ო. ბაქანიძე მკითხველს აცნობს მიკოლა გულაკისა და ოლექსანდრ ნავროცკის მოღვაწეობას; აღნიშნავს, რომ უკრაინული რუსთველოლოგიის ისტორია არსებითად თბილისში შოთა რუსთაველის პოემის შესახებ მიკოლა გულაკის საჯარო ლექციებითა და სტატიებით იწყება, „ასევე, პირველი სიტყვა უკრაინულ რუსთველოლოგიაში, როგორც უკრაინულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანის ავტორმა, ოლექსანდრ ნავროცკიმ თქვა. ორი უკრაინელი დევნილის, მიკოლა გულაკისა და ოლექსანდრ ნავროცკის, მიერ დიდი ქართველი მგოსნის, შოთა რუსთაველის, პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა-პოპულურიზაციასა და თარგმნის ისტორიას მიეძღვნა ეს ნაშრომი“ (ბაქანიძე 2017: 7).

წიგნის პირველი ნაწილი – „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უკრაინელი მკვლევარი“ – ეთმობა კავკასიაში გადმოსახლებულ პედაგოგსა და ჟურნალისტს, მიკოლა გულაკს (1822-1899), რომელიც 1867-1886 წწ. მასწავლებლობდა თბილისში და აქტიურად მონაწილეობდა აქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა – „ვეფხისტყაოსნის“ არა მხოლოდ შესწავლა, არამედ მისი პოპულარიზაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მ. გულაკმა თავის ნაშრომებში „საგანგებოდ წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილობრივი, ეროვნული საფუძვლები, ვრცლად მიმოიხილა პოემის მთავარი

იდეურ-თემატური მოტივები, გააანალიზა მისი მხატვრული მხარე და ა. შ. საგულისხმოა, რომ მკვლევარმა აღმოსავლური თუ დასავლური ლიტერატურის არაერთი შედეგრი დაიმონმა და „ვეფხისტყაოსანი“ მათ გვერდით, მათ დონეზე მოიხსენია და განიხილა. მართალია, მ. გულაკის ნაშრომი რამდენადმე კომპილაციურია და რუსთველოლოგიის მაშინდელი (არცთუ მაღალი) დონის შესაბამისია, მასში გვხვდება შეცდომები და უზუსტობანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ნააზრევი მაინც ფასეულია. ეს წიგნაკი, რომლითაც არსებითად იწყება უკრაინული რუსთველოლოგიის ისტორია, მრავალ საყურადღებო დაკვირვებასა და ანგარიშგასაწევ მოსაზრებას შეიცავს“ (მენაბდე 1985: 15). ამდენად, უკრაინული რუსთველოლოგიის ისტორია იწყება სწორედ მ. გულაკის წიგნით „რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, რომელიც 1884 წელს თბილისში დაიბეჭდა (გულაკი 1884).

ერთ-ერთი პირველი, ვინც დაინტერესდა მ. გულაკის ნაშრომებით, იყო მისი ნათესავი და ახლობელი, მასავით კავკასიაში გადმოსახლებული ოლექსანდრ ნავროცკი (1823-1892). წიგნის მეორე ნაწილი – „უკრაინულ ენაზე შოთა რუსთველის პოემის პირველი პოეტი მთარგმნელი“ – გვაცნობს ო. ნავროცკის შემოქმედებით მოღვაწეობას. ო. ბაქანიძის სიტყვით, „1884 წელს მ. გულაკის გამოსვლებს, მის ლექციებსა და შრომებს ქართული ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, შოთა რუსთველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, 1888 წელს ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“, შოთა რუსთველის ირგვლივ გამართულ მსჯელობას და სხვ., არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოაეხდინა ო. ნავროცკიზე. შესაძლოა, ამ მოვლენათა გამო მისი ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი დაიხვეწა და კონკრეტული სამყაროთი განისაზღვრა, მისი ყურადღების კონცენტრირება მოხდა შოთა რუსთველის ირგვლივ. ო. ნავროცკიმ დაიწყო ქართველი მგოსნის

შემოქმედების შესწავლა და მისი უკრაინულ ენაზე გადატანა“ (ბაქანიძე 2017: 216).

„ვეფხისტყაოსნის“ ო. ნავროცკისეულ თარგმანს ოთარ ბაქანიძე ადრეც შეეხო წიგნში „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან“ (ბაქანიძე 1968: 109-129), თუმცა წიგნში „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“ ო. ნავროცკის თარგმანიცა და, ზოგადად, მისი მოღვაწეობაც, გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი. ფაქტობრივად, ეს წიგნი არის ქართულ ენაზე პირველი სრულყოფილი გამოკვლევა თავად ო. ნავროცკისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა და, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანის შესახებ. ირკვევა, რომ ო. ნავროცკის სათარგმნელად აუღია „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია, რაზეც სტროფების თანმიმდევრობაც მეტყველებს. უკრაინულ ენაზე პოეტური თარგმანის ავტოგრაფი ინახება უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ტარას შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. ავტოგრაფზე საკმაოდ დიდი მუშაობის კვალი აღინიშნება. ჩანს, მთარგმნელს ბევრი უმუშავია – თითქმის ყველა სტროფს რამდენიმე ვარიანტი აქვს.

წიგნის მესამე ნაწილს შეადგენს დანართი – „ოლექსანდრ ნავროცკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი“, ავტოგრაფული ხელნაწერის ფოტოპირები, რომლებიც სრულად პირველად ქვეყნდება (როგორც ანოტაციაშია აღნიშნული, ამ ავტოგრაფული ხელნაწერის მოპოვება და გამოცემა შესაძლებელი გახდა აკად. მიკოლა ყულინსკის დახმარებით. ხელნაწერი გადაიღო თსუ-ის უკრაინისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ივანე მჭედელაძემ).

საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში ჯერ კიდევ 1968 წელს ო. ბაქანიძემ მიაკვლია პოემის ო. ნავროცკისეული რუსული თარგმანის ორ რედაქციას. მკვლევრის სიტყვით, „თარგმანის პირველი

რედაქცია მოიცავს პოემის შესავალსა და პირველ თავს. სულ 71 სტროფს, რაც შეადგენს რვეულის 34 ფურცელს. პირველ რედაქციაში, ო. ნავროცკი შაირის ტიპის რუსთველის სტროფის გადმოცემას რვასტრიქონიანი სტროფით ცდილობს. თარგმანის მეორე რედაქცია უფრო ვრცელია. ის მოიცავს შესავალსა და ათ თავს, სულ 339 სტროფს, რაც შეადგენს რვეულის 130 გვერდს“ (ბაქანიძე 2017: 219). ო. ბაქანიძის დასკვნით, „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ო. ნავროცკიმ რუსულ ენაზე გააკეთა პოემის თარგმანის პირველი რედაქცია და მისი სრულყოფის, დახვეწის მიზნით, მეორე რედაქციის შექმნა დაიწყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი რედაქცია დაედო საფუძვლად, წინ ნაუძღვა ო. ნავროცკის ცნობილ უკრაინულ თარგმანს“ (ბაქანიძე 2017: 219).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პნკარედი, რომელსაც მთარგმნელის ხელით აწერია: „შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსნი“ პნკარედი 1889 წელს დაწყებული თემირ-ხან-შურაში ო. ნავროცკის თხოვნით“. იქვე მითითებულია, რომ პნკარედი ალ. სარაჯიშვილს ეკუთვნის. ზოგადად, ო. ბაქანიძის წიგნში გამოთქმულია არაერთი საყურადღებო მოსაზრება პოემის ნავროცკისეულ რუსულ თარგმანთან დაკავშირებით, მის მიმართებაზე უკრაინულ თარგმანთან, ამ თარგმანების დათარიღების საკითხებზე და ა. შ.

სხვათა შორის, ო. ნავროცკის თარგმანის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს თუ გადავავლებთ თვალს, ირკვევა, რომ თვით უკრაინულ ენაზეც კი მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ოთარ ბაქანიძის წიგნს.

აქვე წარმოვადგენთ ზოგიერთი უკრაინელი ავტორის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ ო. ნავროცკისეული თარგმანის შესახებ:

ალექსანდრ ბილეცკი: „XIX საუკუნის 70-იან წლებში კავკასიაში გადასახლებული უკრაინელი პოეტი ა. ნავროცკი ხელს ჰკიდებს რუსთველის პოემის თარგმანს, მაგრამ მისი დაბეჭდვა

უკრაინულ ენაზე ცენზურამ აკრძალა: ამოცანა ბევრად აღემატებოდა მოკრძალებული ლიტერატორის ნიჭიერებას და თარგმნა დასაწყისშივე იქნა მიტოვებული“ (ბელეცკი 1985: 193).

პავლო ტიჩინა: „1847 წელს ცარიზმმა ჯერ ვიატკაში, შემდეგ კავკასიაში გადაასახლა უკრაინელი მწერალი ა. ნავროცკი. კავკასიაში იგი სიდიადითა და სისადავით მოაჯადოვა რუსთველის პოემამ, ამიტომ, თითქოს წინამორბედთა ნაკლი უნდა შეეცხო, მხურვალედ მოჰკიდა ხელი საქმეს“ (ტიჩინა 1985: 188).

ოლეს გონჩარი: „გასულ საუკუნეში უკრაინაში „კირილემეთოდეს ძმობის“ განადგურების შემდგომ, როდესაც ტ. შევჩენკო საპყრობილეში აღმოჩნდა, კავკასიაში მ. ლერმონტოვის მიერ გაკვალული გზით ჩავიდნენ ტ. შევჩენკოს ჭაბუკი მეგობრები მ. გულაკი და ა. ნავროცკი. გადასახლებული უკრაინელები დაინტერესდნენ რუსთველის პოემით, დაინყეს ქართული ენისა და კულტურის შესწავლა. ა. ნავროცკიმ მაშინვე სცადა რუსთველის პოემის უკრაინულ ენაზე თარგმნა. ჩვენ დღეს პატივისცემით ვიგონებთ ამ კეთილშობილურ სწრაფვას, რაც ნაკარნახევი იყო ძმური სოლიდარობითა და პოემით გამონვეული აღფრთოვანებით“ (გონჩარი 1985: 208).

შ. ვიადრო: რუსთველის „პოემის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს მ. გულაკმა და ა. ნავროცკიმ. გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ ისინი ჩამოვიდნენ კავკასიაში, შეიყვარეს ქართული ლიტერატურა, ენა და დაინყეს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა და თარგმნა. მ. გულაკმა პოემა შეუდარა „ილიადას“, „ოდისეას“, „იგორის ლაშქრობას“ და მას „ქართველების საოცარი პოემა“ უწოდა. მანვე მიაქცია ყურადღება ნაწარმოების ნამდვილ ქართულ ეროვნულ ხასიათს. ა. ნავროცკიმ უკრაინულად თარგმნა პოემის რამდენიმე თავი, მაგრამ მათი დაბეჭდვა მეფის ხელისუფლებამ აკრძალა“ (ვიადრო 1985: 212).

ოლექსა ნოვიცკი: „ქართული კულტურისა და კერძოდ რუსთველის ნაწარმოების მიმართ ინტერესს უკრაინელი პროგრესული

მოღვაწეები ადრიდანვე იჩენდნენ. „კირილე-მეთოდეს ძმობის“ ნევრი პოეტი ა. ნავროცკი, რომელიც კავკასიაში იყო გადასახლებული, დაინტერესდა ქართული კულტურით, აღფრთოვანდა რუსთველის პოემით და იგი მშობლიურ ენაზე თარგმნა“ (ნოვიცკი 1985: 224).

„ვეფხისტყაოსნის“ ო. ნავროცკისეულ თარგმანთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა პოემის სრული პოეტური თარგმანის ავტორის, მიკოლა ბაჟანის, თვალსაზრისი. ნერილში „უკვდავი პოემა“ მ. ბაჟანი წერდა: „ო. ნავროცკიმ დაგვიტოვა ძველი ქართული ლიტერატურის შედეგის დაუმთავრებელი უკრაინული თარგმანი. ეს არა მარტო პირველი უკრაინული თარგმანია რუსთველის პოემისა, არამედ საერთოდაც ერთ-ერთი პირველია პოემის თარგმნის ისტორიაში. ა. ნავროცკის შრომამდე დაბეჭდილია მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი პოემისა რუსულ ენაზე. ეს საკმაოდ უხეირო თარგმანი ეკუთვნოდა ი. ბარდტინსკის. გამოჩნდა იმ დროს პოლონური თარგმანიც ვარშავის ჟურნალში (ამიტომაც გვმართებს, პატივისცემით მოვიგონოთ მოძმე ქართველი ხალხის ამ დიდი პოემის პირველი უკრაინელი მთარგმნელი)“. ამასთანავე, მ. ბაჟანი იქვე მიუთითებს, რომ „თანამედროვე მკითხველს ამ თარგმანის მიმართ შეიძლება ბევრი შენიშვნა გაუჩნდეს, რადგან მთარგმნელს არც კი უცდია თუნდაც მიახლოებით მაინც გადმოეცა რუსთველისეული პოეტური ხერხები, არ უცდია, მიახლოებოდა მის სტროფიკასა და მეტრიკას. ა. ნავროცკის თარგმანში უკრაინული ენა არცთუ ისე მდიდარია, ზედმეტად მარტივი, ზოგჯერ პირდაპირ უცნაურია. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ თუ მოვიგონებთ, ამ საქმეს რა პირობებში მოჰკიდა ხელი გ. შევჩენკოს მეგობარმა, გადასახლებულმა უკრაინელმა პოეტმა, რა მშვენიერი სწრაფვა ჩააქსოვა მან თავის შრომაში – მაშინ დიდი თანაგრძნობით ნავიკითხავთ ო. ნავროცკის თარგმანის (სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელის) უსწორმასწორო სტრიქონებს“ (ბაჟანი

1985: 172-173). ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს – მ. ბაჟანი სამნუხარო ფაქტად მიიჩნევდა, რომ ო. ნავროცკის თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული და მან იქვე დაბეჭდა სამი სტროფი ამ თარგმანიდან (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მ. ბაჟანმა არაერთი ნერილი უძღვნა რუსთველსა და მის პოემას: „ქართული პოეზიის გენია“, „ქართველი ხალხის უკვდავი პოემა“, „მეგობრობის მომღერალი“, „ქართველი ხალხის დიდი პოეტი“ და ა. შ.).

ცალკე უნდა გამოვყოთ უკრაინელი ლიტერატურათმცოდნის, მიკოლა პავლიუკის, სტატია „ალექსანდრე ნავროცკი – რუსთველის მთარგმნელი“, რომელიც ქართულ ენაზე დაბეჭდა კრებულში „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (თარგმნა რ. ხვედელიძემ) და იძლევა შედარებით სრულ ინფორმაციას პოემის მთარგმნელისა და საკუთრივ თარგმანის შესახებ. მ. პავლიუკის სიტყვით: „ვეფხისტყაოსნის“ ფართო პოპულარიზაცია ა. ნავროცკიმ პოეტური თარგმანის გზით დაიწყო. მის პირად არქივში ინახება პოემის უკრაინული თარგმანის ხელნაწერი, კერძოდ, პროლოგი და პირველი ოთხი თავი (ბოლო თავი დაუმთავრებელია), სულ 264 სტროფი. ხელნაწერი შავი ავტოგრაფია, მთარგმნელის მრავალი შესწორებით. როგორც უმრავლესობა ა. ნავროცკის ხელნაწერებისა, ეს ავტოგრაფიც უთარილოა“ (პავლიუკი 1985: 228).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ თარგმანს საფუძვლად დაედო ა. სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რუსული პნკარედი. მ. პავლიუკის დასკვნით: „ჩანს, ა. ნავროცკის გადანყვეტილი ჰქონდა პოემის მთლიანად თარგმნა. მას ამის ძალა შესწევდა, როგორც გამოცდილ მთარგმნელს, რომელსაც უკვე ჰქონდა ამ დროისათვის თარგმნილი მოცულობით დიდი ნაწარმოებები: „ილიადა“, „ოდისეა“, ოსიანის რამდენიმე პოემა და მრავალი სხვა. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა პოეტს სიკვდილმა შეაწყვეტინა. ამრიგად, რუსთველის პოემის თარგმანს ეწერა, გამხდარიყო ეპილოგი ამ დიდად ნაყო-

ფიერი უკრაინელი მთარგმნელის მრავალწლიანი დაძაბული მოღვაწეობისა“ (პავლიუკი 1985: 229). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ა. სარაჯიშვილმა კიდევ ერთი უკრაინელი დააინტერესა „ვეფხისტყაოსნით“. მისი პნკარედის მიხედვით „რუსთველის პოემის რუსულად გალექსვას შეუდგა უკრაინელი პოეტი იური რომენსკი, რომელიც პოლიტიკური საქმიანობისათვის კავკასიაში იყო გადმოსახლებული და დაღესტანში მასწავლებლობდა. მისი თარგმანი (პროლოგისა) დაცულია ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში“ (ანდლულაძე 1973: 83-84).

მიუხედავად იმისა, რომ ოლექსანდრ ნავროცკის თარგმანი უკრაინასა და უკრაინელებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, დღემდე არავის უცდია ამ ტექსტის სრულად გამოქვეყნება. ამდენად, ოთარ ბაქანიძის წიგნი „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“ ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

ანდლულაძე, ლ. (1973). „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიიდან (ი. რომენსკი). // ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები. IV.

ბაჟანი, მ. (1985). უკვდავი პოემა. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ბაქანიძე, ო. (1968). ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან. თბილისი: მერანი.

ბაქანიძე, ო. (2017). ვინ მოყვარესა არ ეძებს... თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ გამომცემლობა.

ბელეცკი, ა. (1985). ქართველი ხალხის უკვდავი პოემა. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

გონჩარი, ო. (1985). ქართული პოეზიის რაინდი. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ვიადრო (1985). ვიადრო შ. ქართული ლიტერატურის გენია. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მენაბდე (1985). მენაბდე ლ. შესავალი. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ნოვიცკი (1985). ნოვიცკი ო. რუსთველის უკვდავება. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

პავლიუკი (1985). პავლიუკი მ. ალექსანდრე ნავეროცკი – რუსთველის მთარგმნელი. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ტიჩინა (1985). სიტყვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმზე. // რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Бажан, М. (1937). Руставели Шота. Витязь у тигровій шкіурі. Грузинська поема. Переклав М. Бажан. Київ: Державне літературне видавництво.

Бажан, М. (1940). Руставели Шота. Витязь у тигровій шкіурі. Грузинська поэма. Переклад М. Бажана. Київ: Державне літературне видавництво.

Бажан, М. (1950). Руставели Шота. Витязь у тигровій шкіурі. Переклад з грузинської М. Бажана. Київ: Державне видавництво художньої літератури.

Бажан, М. (1957). Руставели Шота. Витязь у тигровій шкіурі. Переклад з грузинської М. Бажана. Київ: Державне видавництво художньої літератури.

Бажан, М. (1966). Руставели Шота. Витязь у тигровій шкіурі. Переклад з грузинської М. Бажана. Київ: Дніпро.

- Бажан, М. (1974).** Руставели Шота. Витязь у тигровій шкурі. Переклад з грузинської М. Бажана. // Бажан М. Твори. Т. II. Київ: Дніпро.
- Бажан, М. (1983).** Руставели Шота. Витязь в тигровій шкурі. Поема. Переклад з грузинської М. Бажан. Київ: Дніпро.
- Бажан, М. (2004а).** Руставели Шота. Витязь в тигровійшкурі. Переклад з грузинської М. Бажан. Авт. післямови, ред. Р. Чілачава. Київ: Мистецтво.
- Бажан, М. (2004б).** Руставели Шота. Витязь у тигровій шкурі. Поема. Переклад з грузинської М. Бажана. Тернопіль: Навчальна книга-Богдан.
- Бажан, М. (2009).** Руставели Шота. Витязь в тигровій шкурі. Уривки. Переклад з грузинської М. Бажан. Riga.
- Бажан, М. (2012).** Руставели Шота. Витязь у тигровій шкурі. Поема. Переклав укр. М. Бажана. Київ: АДЕФ-Україна.
- Бажан, М. (2013).** Руставели Шота. Витязь у тигровій шкурі. Поема. Переклав укр. М. Бажана. Київ: АДЕФ-Україна.
- Гулак, Н. И. (1884).** О Барсовой коже Руставели. Тифлис: Типография Канцелярии главнонач. гражд. частью на Кавказе.
- Халимоненко, Г. (1991).** Руставелі Шота. Витязь у тигровій шкурі. Поема. Прозовий переклад з грузинської Г. Халимоненко. Київ: Веселка. 1991.

Олександр Музичко

Популяризація грузинської літератури в Одесі наприкінці XIX – на початку XX ст.

Наприкінці XIX – на початку XX ст. Одеса була найбільш заселеним містом в Україні у складі Російської імперії, великим культурним та промисловим центром. Тут базувався єдиний на усьому величезному південному просторі цієї імперії університет – Новоросійський. Позаяк університету не було на Кавказі, до Одеси приїжджало багато грузинської та вірменської молоді. Деякі молоді грузини, як П. Мелікішвілі та В. Петріашвілі, стали професорами своєї альма-матер. Незважаючи на те, що грузини не були чисельною групою серед етносів Одеси, аж до 1917 р. не мали тут свого національно-культурного товариства, окремої церкви і т.п. маркерів діаспори, не можна вони аж ніяк не розчинилися у міському просторі. Цьому сприяли й жваві економічні та культурні зв'язки між Одесою та грузинськими містами, зокрема, Батумі та Поті. Мовний бар'єр не став фатальним. Одним з чинників реалізації цих зв'язків було ознайомлення одеситів з постатями грузинської літератури, деякими їх текстами.

Першою формою репрезентації було проведення яскравих грузинських вечірок, концертів, вистав. Вечори незмінно збирали багато людей і приносили великі збори (наприклад, в 1914 р. 2500 рублів)¹. До 20-го ювілею з дня смерті грузинського романіста Олександра Михайловича Казбегі (1848-1893 рр.) на початку 1914 р.

¹ Грузинский вечер // Одесские новости. 1912. 9 декабря; На грузинском вечере // Одесские новости. 1914. 9 февраля; Грузинский вечер в драматическом театре // Одесские новости. 1915. 13 февраля.

одеські грузини відзначили ювілей в залі «Огнісько»². Найбільшим розмахом відрізнявся вечір на честь 75-я Іллі Чавчавадзе, який відвідали 1500 чоловік, де виступив хор грузинських студентів під керівництвом Г. Купрашвілі. У 1916 р. було відзначено сторіччя від дня народження М. Бараташвілі. Виступали професор Гливенко, медик Л. Котетішвілі, свої вірші прочитав надалі відомий драматург І. Мосашвілі. З доповіддю на тему «Основні мотиви поезії Бараташвілі» виступив Георгій Сарідановіч Ахвледіані, надалі відомий мовознавець, член-кореспондент АН СРСР, академік АН Грузинської РСР. Він зазначив, що в Росії мало знають про грузинську історію, культуру, літературу, боротьбу грузинів за незалежність і побажав їй подальшої популяризації.

Повідомлення про ці заходи оприлюднювалися в одеських газетах. Там само містилися статті про видатних грузинських поетів та письменників та уривки у перекладі на російську мову їх творів, що можна вважати другим напрямком ознайомлення інтелігентних одеситів з грузинською літературою. Перші такі тексти зафіксовані нами у виданнях 1890-х років. Так, на сторінках українського видання «По морю и суше» (через цензуру видавалося російською мовою) у 1893 р. було опубліковано уривок з твору Шоти Руставелі³. Наприкінці 1890-х років у газеті «Южное обозрение» був опублікований уривок з повісті Іллі Чавчавадзе, передрук з газети «Кавказ»⁴.

Автор іншої статті, що заховався за криптонімом «В.У» висвітлив основні риси тогочасної грузинської літератури загалом. Правильним ходом було здійснене ним для полегшення читацького розуміння

² Южная мысль. – 1914. – 22 марта.

³ Шота Руставели (Грузинская легенда) // По морю и суше. – 1893. – № 35.

⁴ Зурабишвили И. Отрывок из повести кн. И.Г. Чавчавадзе «Рассказ нищаго» // Южное обозрение. – 1897. – 25 августа.

პорівняння грузинських письменників та поетів з російськими. Так, І. Чавчавадзе він порівняв з М. Гоголем, А. Церетелі з О. Пушкінім. На його думку, від поезій А. Церетелі та О. Пушкіна віє легкістю, якої немає у поезіях І. Чавчавадзе. Текст відображає панування соціалістичних та народницьких уявлень серед тогочасних грузинів, особливо молоді, до якої, припускаємо, і належав автор. Тому головним критерієм оцінки певного письменника автор вважав народність, тобто «просякнення народним духом, життя одним життям з народом, відкидання усіх станових забобонів». Під такий критерій справжнього народного поета, на думку, автора підпадав О. Казбек, що живучи серед народу, реалістично відображав його життя, «великий мученик, що писав кров'ю свого серця та соком своїх нервів»⁵.

На початку ХХ ст. на шпальтах одеських газет одесити мали можливість ознайомитися з основними біографічними даними та рисами творчості І. Чавчавадзе⁶ та М. Бараташвілі⁷.

Надважливою подією у житті грузинської громади Одеси була смерть А. Церетелі. По Одесі звістка про смерть А. Церетелі розлетілася за 5 днів до справжньої смерті поета 26 січня 1915 р. Саме цим пояснюється те, що в одеському грузинському середовищі два важливих тексти, присвячені його пам'яті, з'явилися 23 січня 1915 р. Саме тоді одеські студенти та курсистки надіслали до грузинських газет «Сахало Пурцелі» та «Ахалі Азрі» такий текст: «Снова омрачилась многострадальная Грузия. Умер маститый, усеянный сединой, поэт. Не стало одаренного всевышней силой Акакия, чья лира и свирель

⁵ В.У. Грузинская литература // Южное обозрение. – 1897. – 25 июня.

⁶ Цагарели Г. Илья Чавчавадзе (к 75-ю со дня рождения) // Южная мысль. 1912. 28 октября.

⁷ Исадзе Б. Памяти грузинского Байрона (к 100-ю со дня рождения) Н.М. Бараташвили // Одесский листок. 1916. 3 декабря.

безустанно оплакивали горе родной страны. Перестал биться ручей, который 60 лет 60 лет разливался по изсыхающей груди Грузии, внося в нее струю жизни, любви и прогресса. Велико горе собратьев и детей выдающегося поэта; тяжела участь родины, предающей земле одного из могикан славной плеяды шестидесятников». Також в «Одесском листке» з'явилась стаття С. Аваліані, а в «Одесских новостях» – непідписана стаття. Автор останньої відзначав величезну популярність та авторитет А. Церетелі серед грузинів, відзначав такі його риси як багатожанровість, витончений ліризм його поезії, полум'яний патріотизм та громадянськість. Одеські газети надрукували низку фото А. Церетелі у різному віці, навіть у труні, повідомляли про плани встановлення йому пам'ятника. 1 лютого 1915 р. в Олександрово-Невській церкві Новоросійського університету за ініціативи грузинської діаспори за присутності ректора Д. Кішенського, повітового голови дворянства князя Б. Аргутинського-Долгорукова, професорів П. Мелікішвілі, С. Гогітідзе та інших, приват-доцента Я. Мосешвілі, С. Аваліані, студентів-грузинів та інших представників грузинської громади, протоіерей, професор богослов'я університету О. Клітін відслужив панахиду. На початку він виголосив таку промову: «Среди известных за последнее время грузинских поэтов покойный князь Церетели был самым выдающимся и самым популярным. Не было и нет грузина, который не знал бы его имени. Правнук имеретинского царя Соломона II, князь Церетели родился в 1840 году... Любовь к своему народу, любовь к правде и к добру, скорбь об утраченных надеждах – вот о чем пел народный поэт своему народу. Художественный и образный язык его поэзии живо напоминает нам А.С. Пушкина; многие, поэтому, называют его Пушкиным грузинского народа, а его поэзию – жемчужиной грузинского языка и литературы. Многочисленны и разнообразны были труды князя Церетели в грузинской литературе. Он был не только поэтом-лириком, но также драматургом и эпическим писателем; критиком и публицистом. «Оригинальными чертами его

